ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 43

14.07.2020
14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 14 ივლისს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი), დათო რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, ამავე სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ზაზა ცინაძე**, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის *დასწრებით.*

სხდომის დღის წესრიგი:

1. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი 12-0320192123-03; 10.07.2020).* (**მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი)
2. **კომისიაში შემოსული მიმდინარე წერილების განხილვა** (**მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე)

სხდომა წარიმართა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიასთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროეტში ცვლილება - კომისიებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა.

გაიოზ თალაკვაძე - შემოსავლების კლება მოსალოდნელი იყო ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტმა ცვლილება განიცადა, შემოსავლების კლების გამო. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების საორიენტაციო საპროგნოზო მაჩვენებელი თბილისისთვის შემცირდა 95 570,5 ათასი ლარით მათ შორის: ქონების გადასახადი - 25 000,0 ათასი ლარი და დამატებითი ღირებულების გადასახადი - 70 570,5 ათასი ლარი. ასევე, მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტით თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი 35 000,0 ათასი ლარით. 2020 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და შემოსულობების სხვა წყაროების პროგნოზების გათვალისწინებით, მცირდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 17 500,0 ათასი ლარით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 2 000,0 ათასი ლარით, შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1 462,0 ათასი ლარით, სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 8 000,0 ათასი ლარით. ამასთან, იზრდება გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ ა(ა)იპ(ებ)-დან (ქონების მართვის სააგენტოს სახსრები) - 3 000,0 ათასი ლარით, პროცენტები - 9 000,0 ათასი ლარით, შემოსულობა არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 8 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, ბიუჯეტის მოცულობა მცირდება სულ 137 332,5 ათასი ლარით და შეადგენს 1 101 648,1 ათას ლარს. მიუხედავად შემცირებებისა დიდი პროექტები, რომლებიც დაწყებული იყო დედაქალაქში არ შეჩერებულა და გრძელდება სამუშაოები. გარდა ამისა, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიების, სხვადასხვა პროგრამებში და ქვეპროგრამებში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე. მოძიებული რესურსებისა და ნაშთის გამოყენების გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის იზრდება: გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში (კოდი 01 01), კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში (კოდი 02 09), ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა რაიონებში (კოდი 05 01), სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში (კოდი 06 02 18), კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) პროგრამები.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 1 250,0 ათასი ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 543,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 3 042,0 ათასი ლარი, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 06 06) – 502,7 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 3 238,0 ათასი ლარი, თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება (კოდი 08 08 02) – 96,8 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში (კოდი 08 11) – 300,0 ათასი ლარი,

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ზაზა ცინაძე - მოგესალმებით, რაც შეეხება ბიუჯეტში გარკვეულ ცვლილებებს საქალაქო სამსახურის მიმართულებით. პანდემიიდან გამომდინარე გარკვეული პროექტები და ღონისძიებები ავტომატურად შეჩერდა ჯანდაცვის რეკომენდაციებიდან გამომდინარე, მათ შორის სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები. აღნიშნულმა გამოიწვია შემდეგი პროგრამების კლება მარტის თვიდან დღემდე არ ჩატარებულა სპორტული ღონისძიებები ის პროექტები, რომელიც წელს დაგეგმილი იყო, ან მშენებლობა მიმდინარეობდა შენარჩუნებულია და ბიუჯეტში ასახულია, ხოლო ის პროექტები რომელთა საპროექტო სამუშაოები ჯერ არ განხორციელებულა, ვინაიდან მშენებლობის პროცესიც არ მიმდინარეობს მათზე, წელს მხოლოდ საპროექტო სამუშაოების შესყიდვა იქნება ასახული ბიუჯეტში. ანალოგიური მდგომარეობაა კულტურის და ახალგაზრდობის მიმართულებითაც, ვინაიდან, პანდემიის გამო ჩასატარებელი ღონისძიებების გამართვა შეუძლებელი გახდა, ბიუჯეტის ასიგნებებიც შემცირდა აქედან გამომდინარე.

გიორგი ჩაკვეტაძე - ჩემი პოზიციაა, რომ აღნიშნული ბიუჯეტი სრულად პასუხობს იმ გამოწვევებს, რაც კორონავირუსის პანდემიისგან მივიღეთ. მნიშვნელოვანია, რომ ყველა დაწყებული პროექტი ხორციელდება და გეგმა-გრაფიკის შესაბამისად მიმდინარეობს. მიმაჩნია, რომ ბიუჯეტის ბოლო ცვლილებით წელს, თუ ამის საჭიროება გახდა მოძიებულ იქნეს შესაბამისი თანხები, რომ არცერთი პროექტი არ გაჩერდეს. მიუხედავათ იმისა, რომ აღნიშნული ბიუჯეტში დამტკიცებულ ვარიანტთან შედარებით არის სხვაობა, ყველა მუნიციპალური პროექტი და პროგრამა ხორციელდება მათ შორის (კოდი 08 06 02) მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა, (კოდი 08 06 05) ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამა და სხვა პრიორიტეტული პროგრამები შენარჩუნებულია. მინდა დავაზუსტო, რომ არც მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების მშენებლობის სამუშაოები არ შეჩერებულა და გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რაზეც საქალაქო სამსახურის წარმომადგენელიც დაგვეთანხმება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, გიორგი მუსხელიშვილი, დათო რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი კომისიაში შემოსული წერილების შესახებ ინფორმაცია - კომისიებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ.

გიორგი ჩაკვეტაძე - კომისიაში შემოსულ განცხადებებთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ შემოსულია ნაძალადევის რაიონიდან კლუბ ,,რაშების'' წერილი, ბატონი დავით ჭელიძის შუამდგომლობით. კლუბი მის სამაჟორიტარო ოლქში გახლავთ, თბილისის ზღვის მიმდებარედ. ვიყავით ამ მისამართზე და სიტუაციას ადგილზე გავეცანით, კლუბს ესაჭიროება მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა სავარჯიშო ბაზის და პირობების გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული წერილი კომისიის წევრებს ელექტრონულადაც გადმოგეგზავნათ. რეკომენდაციებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, ვფიქრობთ განცხადების საფუძველზე მივცეთ მსვლელობა და გადავაგზავნოთ შესაბამის უწყებებში, რათა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსიდან ტერიტორია გადმოეცეს მუნიციპალიტეტს და მანამდე გვეცნობოს სახელმწიფოს პოზიცია, თუ რა მიმართულებით აპირებს აღნიშნული ტერიტორიის განვითარებას. რაც შეეხება მეორე განცხადებას, ეს გახლავთ საფეხბურთო კლუბ ,,დინამო სოხუმის'' განცხადება, რომელიც ითხოვს დავალიანების ჩამოწერას, მათ საინვესტიციო პირობებით გადაეცათ ტერიტორია რომელზეც დაუგროვდათ დავალიანება და ითხოვენ მის ჩამოწერას. ასევე, კომისიას მომართა მოქალაქემ თხოვნით, რომ კიევის ქუჩაზე ყოფილი სპორტული მოედნის ტერიტორია, გადაეცეთ სპორტული პროფილის განვითარებისთვის, საინვესტიციო პირობების ჩადებით, რაგბის მოედნის მოსაწყობად. ტერიტორია ჩვენი კომისიის მიერ არის აღრიცხული, როგორც სხვა ძველი სპორტული მოედნები, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვა თავისუფალი სივრცეები, ხელსაყრელი სპორტული პროფილის მიმართულების განვითარებისთვის. აღნიშნულ განცხადებებს ვიღებთ ცნობის სახით და მოვახდენთ შესაბამის რეაგირებას. ასევე, მიმდინარე კვირაში ვფიქრობთ რამდენიმე მშენებარე სპორტული ობიექტის მონახულებას, რასთან დაკავშირებითაც წინასწარ გაცნობებთ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო კომისიაში შემოსული წერილები შესაბამისი რეაგირების მოხდენის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე